შპს +ჯფ+

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3

სრული შემოსავლის ანგარიშგება 4

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 5

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 6
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა 6
3. ფული და ფულის ექვივალენტები 12
4. მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები 12
5. კაპიტალი 12
6. სესხები 12
7. საერთო მოგება 13
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 13

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	31.12.23	31.12.24
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები	**516,221**	**512,083**
ძირითადი საშუალებები	516,221	512,083
მიმდინარე აქტივები	**5,343,506**	**6,150,283**
ფული და ფულის ეკვივალენტები	129,799	122,721
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	2,857,537	2,956,224
მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები	2,016,936	2,627,248
სხვა მოთხოვნები	339,234	444,090
სულ აქტივები	***5,859,727***	***6,662,366***
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	13,249	13,249
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	4,180,452	4,812,488
სულ საკუთარი კაპიტალი	***4,193,701***	***4,825,737***
მოკლევადიანი ვალდებულებები	**1,666,026**	**1,836,629**
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	404,691	664,966
სხვა ვალდებულებები	86,303	123,917
მოკლევადიანი სესხები ბანკებიდან	1,175,032	1,047,746
სულ ვალდებულებები	***1,666,026***	***1,836,629***
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	***5,859,727***	***6,662,366***

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული ხელმძღვანელობის მიერ

2025 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	2023 წელი	2024 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	5,916,993	3,541,455
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(4,162,855)	(2,219,906)
საერთო მოგება	***1,754,138***	***1,321,549***
საპროცენტო ხარჯი	(146,008)	(144,545)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(162,306)	(204,613)
სხვა ხარჯები	(16,871)	(362)
სულ საოპერაციო ხარჯები	***(325,185)***	***(349,520)***
კურსთაშორის სხვაობიდან წმინდა მოგება/(ზარალი)	(16,249)	(29,677)
მოგების გადასახადი	-	-
მთლიანი სრული მოგება/(ზარალი)	***1,412,704***	***942,352***

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული ხელმძღვანელობის მიერ

2025 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	***13,249***	***4,180,452***	***4,193,701***
კაპიტალის ზრდა/(შემცირება)	-	-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	942,352	942,352
გადახდილი დივიდენდები	-	(310,316)	(310,316)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	***13,249***	***4,812,488***	***4,825,737***

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული ხელმძღვანელობის მიერ

2025 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს +ჯფ+ (ს/კ 439395806) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2015 წლის 10 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ.თბილისი, მთაწმინდის რაიონი. დ. კოჯორი გ.კაჭახიძის ქ. №4.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს, ხაზოვანი ნაგებობების მშენებლობისთვის საჭირო სამშენებლო მასალების რეალიზაცია.

კომპანიის 50 % წილი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეკუთვნის გიორგი ქოროღლიშვილს (პ/ნ 12003000837) და 50 % წილი - დავით ბექაურს (პ/ნ 01012003615).

2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხო პოლიტიკა

ანგარიშგების მომზადების საფუძველი

მსს ფასს-ის 35-ე მუხლის თანახმად კომპანიის შესაბამის სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი.

კომპანიამ მსს ფასს-ზე გადასვლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაშვებული შეღავათები შესადარისი პერიოდისა და ფულადი ნაკადების წარდგენასთან დაკავშირებით, რის გამოც არ წარადგენს აღნიშნულ ინფორმაციას.

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების და საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს. ქართული ლარი იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რადგანაც მენეჯმენტს სჯერა, რომ ეს არის უფრო გამოსადეგი ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებელთათვის.

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის

თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით. ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი		
	დოლარი	**ევრო**	**ფუნტი**
31 დეკემბერი 2024	**2.8068**	**2.9306**	**3.5349**
31 დეკემბერი 2023	**2.6894**	**2.9753**	**3.4228**
2024 წლის საშუალო კურსი	**2,7182**	**2,9412**	
2023 წლის საშუალო კურსი	**2,6279**	**2,8416**	

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- დასაფარია საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს;

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების შედეგად მიღებული აკუმულირებული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასეთი თვითღირებულება წარმოადგენს შესყიდვის ფასს, რომელიც მოიცავს შესყიდვის გადასახადს, რომელიც დაბრუნებას არ ექვემდებარება, და აქტივის ექსპლუატაციისთვის ვარგის მდგომარეობამდე მოყვანასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

შენობა-ნაგებობა	-	25 წლამდე
მანქანები და მოწყობილობები	-	10-25 წელი
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	-	10-20 წელი
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა	-	3-15 წელი

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან გამოყენებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასრგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიას არამატერიალური აქტივები არ გააჩნია.

აქტივის გაუფასურება

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ აქტივები გაუფასურებულია, ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და ინვესტიციების გაუფასურების გადახედვა.

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ეფექტი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ

შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

საოპერაციო იჯარა - კომპანია როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

საოპერაციო იჯარა - კომპანია როგორც მეიჯარე

კომპანია საიჯარო შემოსავალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სისტემური მეთოდი უფრო ადეკვატურად ასახავს მომხმარებლის მიერ სარგებლის მიღების გრაფიკს, თუნდაც საიჯარო გადასახდელების გადახდა არ ეფუძნებოდეს იმავე გრაფიკს.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, საწყობამდე ტრანსპორტირების, გადამუშავების და შეფუთვის ხარჯები. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

კომპანიის მფლობელობაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები შედგება, როგორც სარეალიზაციოდ გამზადებული მზა პროდუქციისგან, ასევე საწარმოო პროცესისთვის განკუთვნილი ნედლეულისგან.

ფული და ფულის ექვივალენტი

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან და საბანკო ანგარიშზე არსებული თანხებისგან. კომპანია იყენებს საქართველოში არსებული წამყვანი ბანკების მიმდინარე ანგარიშებს. ფულადი სახსრები განთავსებულია მიმდინარე ანგარიშებზე და არ ერიცხებათ საპროცენტო შემოსავალი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მიმდინარე მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია მისი სამართლიანი ღირებულებით, დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. შემდგომში ისინი განისაზღვრება, როგორც ამორტიზირებულ ღირებულებას დაკლებული გაუფასურების რეზერვი. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. დებიტორის მნიშვნელოვანი პრობლემები, გაკოტრება და სამართალდარღვევა არის მნიშვნელოვანი ინდიკატორი იმისა, რომ მოთხოვნა გაუფასურდება. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე.

ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საეჭვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, რომელიც ივარაუდება, რომ ვერ მიიღება, ხდება პირდაპირი ჩამოწერა მოგება-ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოდინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან აღიარდება: ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციის შემთხვევაში, ზედნადების გამოწერისას, ხოლო ექსპერტის შემთხვევაში (EXW ან FCA) ინვოისის გამოწერისას. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ადგილობრივ ბაზარზე შეძენისას ზედნადების გამოწერისას, ხოლო იმპორტის შემთხვევაში ინკოტერმსის წესების გათვალისწინებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის მიმდინარე აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ თანხას. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება საგადასახადო განაკვეთები და კანონები, რომლებიც მოქმედებს ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების თარიღისთვის. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი გადაიხდება დივიდენდებზე და დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც ანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აისახება სხვა გადასახადებად სრული შემოსავლის ანგარიშგების სხვა საოპერაციო ხარჯებში. კომპანიის დამფუძნებლებზე დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია საკუთარი კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

► როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;

► როდესაც მოთხოვნები და ვალდებულებები მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დღგ აქტივის (ანაზღაურებადი დღგ) ან ვალდებულების ნაწილში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას. ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის, ფინანსური აქტივები თავდაპირველი შეფასების შესაბამისად დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- სესხები და მოთხოვნები;
- რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით;
- სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივები;
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები;

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსავალით ან ზარალით, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში. კომპანიას არ გააჩნია ვაჭრობისათვის გამიზნული აქტივები და არც ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულებები, მათ შორის მიღებული სესხები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეთილებით. აკუმულირებული მოგება/ზარალი შეიცავს წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება/ზარალებს. დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდისათვის რომელშიც გამოცხადდა.

თანამშრომლების სარგებელი

ხელფასები, გადახდილი წლიური შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დარიცხულია წლის განმავლობაში, რომელშიც ასოცირებული მომსახურება გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ. 2019 წლის 1 იანვრიდან კომპანიას აქვს სამართლებრივი ვალდებულება, რომ თანამშრომელთა მთლიანი ხელფასებიდან და სხვა გასამრჯელოებიდან 2% სახელმწიფოს საპენსიო სააგენტოს ფონდში გადაიხადოს. კომპანიას არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გასცეს პენსიები ან მსგავსი სარგებელი.

3. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ქართულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული თანხებისგან და სალაროში არსებული თანხებისაგან.

	31.12.23	**31.12.24**
ნაღდი ფული სალაროში	3,090	5,002
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	126,709	117,719
სულ	***129,799***	***122,721***

4. მიმდინარე სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31.12.23	**31.12.24**
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	2,016,936	2,627,248
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	-	-
სულ	***2,016,936***	***2,627,248***

5. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 13 249 ლარს, 2024 წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალის ცვლილება არ მომხდარა. 2024 წლის განმავლობაში კომპანიის წმინდა მოგებამ შეადგინა 943,352 ლარი.

6. სესხები

	31.12.23	**31.12.24**
მოკლევადიანი სესხები ბანკებიდან	1,175,032	1,047,746
სულ მიღებული სესხები	***1,175,032***	***1,047,746***

7. საერთო მოგება

	2023 წელი	2024 წელი
შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან	5,916,993	3,541,455
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	-	-
სულ შემოსავალი	***5,916,993***	***3,541,455***
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	***(4,162,855)***	***(2,219,906)***
სარგებელი	***1,754,138***	***1,321,549***

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023 წელი	2024 წელი
ხელფასი	104,362	116,328
კომუნალური ხარჯები	3,423	3,364
სადაზღვეო ხარჯები	1,213	1,641
საიჯარო ქირა	36,727	42,842
ცვეთის ხარჯები	890	4,137
საკონსულტაციო ხარჯები	-	847
სხვა ხარჯები	11,551	35,454
სულ	***162,306***	***204,613***